30

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა თბილისი

№ 48 მთავრობისა და უწყებათა

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

შაბათი 2 მარტი. კვირა, 29 თებერვალი 1920 წ.

მთავრობის მიერ დაარსებული, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი მღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი უველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტროქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 30 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

კვირას, ამა თვის 29, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შეა რუელებიონის საკათედრო ტაძარში სალმრთო ლიტურგიას და შემდგ გადაიხდის პანაშვიდს

გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან მოწყვეტილთა სულის მოსახსენებლად,

და საეკლესიო პარაკლისს. წირვა დაიწყება დილის 9½ საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. ამავე დღეს პანაშვიდი და პარაკლისი გადახდილ იქნება ტფილისის ყველა ეკლესიებში.

364 1—1

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ხ. ა. ეგლადიაშვილის ხელმძღვანელობით.

კვირას, თებერვლის 29 ს საბინინის ბენეფისი

ჰოფმანის ზღაპრები

ორშაბათს, მარტის 1, ნინო კოშიცის მონაწილეობით „ურიის ქალი". სამშაბათს, ინაშვილის ბენეფისი „ტაისი". ოთხშაბათს, მარტის 3, მგოსნის გალაქტიონ ტაბიძის სადმო. 1. ჰარფოველ მგოსანთა ჭრილობანები. 2. „ალიკო", 3. ბალეტი.

დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო საპარლამენტო კომისია

ამით საყოველთაოდ ეცნობება, რომ დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები აფხაზეთსა (სოხუმის ოლქში) და რესპუბლიკის იმ ადგილებში, სადაც რაიმე მიზეზის გამო წინა არჩევნები არ მოხდარა ან გაუქმებულია, დანიშნულია ამა წლის მარტის თვის 27-ს, 28-ს და 29-ს.

დამფუძნებელ კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომ. პრეზიდიუმი

საქართველოს კოოპერატიულ ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი

აუწყებს ბანკის აქციონერთა, რომ ამ წლის 15 მარტს, ქ. ტფილისში, ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის შენობაში (კოოპერატივის ქუჩა № 15) დილის 10 საათზე დანიშნულია საქართველოს კოოპერატიულ ბანკის აქციონერთა პირველი საზოგადო კრება. დღის წესი: 1. მმხველება საორგანიზაციო კომიტეტისა. 2. საქციონერო თანხის გადიდება. 3. წესდების 49 მუხლის შეცვლა. 4. ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 5. გამგეობის და საბჭოს არჩევნები. 6. მიმდინარე საკითხები. წესდების 49—50 მუხ. ძალით ყოველ კოოპერატიულ დაწესებულებას, რომელსაც აქვს ორი აქცია, უფლება აქვს დაესწროს საზოგადო კრებას გადამწყვეტი ხმის უფლებით. ბანკის აქციონერთ შეუძლიანთ ხმის უფლება გადასცენ სხვა აქციონერებს, რომელთაგანაც არავის არ შეუძლია ორზე მეტი რწმუნება იქონიოს. რწმუნების ხის უფლების გადაცემის შესახებ ეძლევა წერილის ფორმით, რომელიც უნდა წარმოდგენილ იქნეს ამი ღლით ადრე საზოგადო კრებამდე.

172 2—2

საქართველოს სახაზინო რკინის გზის

საკომერციო ნაწილი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ფოსტით გაგზავნილ წერილებს არ მიიღებს, თუ ფოსტის ხარჯი სრულად გამოგზავნისაგან არ იქნება გადახდილი.

იყიდება ქართული

საბეჭდავი მანქანა

„რემინგტონი"-ს სისტემის. ორბლიანის ქუ ს № 32. 373 1—1

ოფიციალური განკოფილება.

დეკრეტები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზების სამართველოსთან არსებულ დისციპლინარულ სასამართლოსი.

§ 1. სახაზინო რკინის გზების სამართველოსთან არსდება დისციპლინარული სასამართლო რკინის გზების მოსამსახურეების (არა ადმინისტრატიულ პირთაგან), ხელოსნებისა და მუშების მიერ სამსახურში ჩადენილ დანაშაულის და სამსახურის მოვალეობათა დარღვევის განსახილველად.

§ 2. ზემოაღნიშნულ პირებს დისციპლინარულ სასამართლოს გადასცემს გზათა უფროსი, ნაწილების უფროსი და გზების ადმინისტრაციის დანარჩენი პირები, თუ ამ უკანასკნელებს მინიჭებული აქვთ უფლება მოლებადთხოვნისა, ხოლო სასამართლოსთვის გადაცემა სწარმოებს როგორც მეთვალყურეობის ფარგლებში წარმოდგენილ ადმინისტრაციის აგენტების მოხსენებების, ტეხნიკურ გამოძიების აქტებისა და გზათა ადმინისტრაციის და პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობის წარმომადგენლთაგან შემდგარ საგანგებო საგამომძიებლო კომისიის ძალების მიხედვით, ისე პროფესიონალურ კავშირის გამგეობის, მთავრობის და საზოგადო დაწესებულებების მოთხოვნისა და დაშავებულ პირთა სჩივრის მიხედვითაც, როცა გზათა ადმინისტრაციის შეხედულებით ირკვევა, რომ დანაშაულის ჩამდენი მოსამსახურე ღირსია უფრო დიდი სასჯელისა, ვინემ უბრალო საყვედურის, მთელ ხაზზე ბრძანებაში გამოცხადებ თ.

შენიშვნა: სამსახურში ადმინისტრატიულ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაული და სამსახურის მოვალეობათა დარღვევა ისჯება ჩვეულებრივ ადმინისტრატიულ წესით ასეთ საქმეთა ადმინისტრატიულ სასამართლოში განსახილველად.

იმ შემთხვევაში, როცა დანაშაული ეხება ადმინისტრატიულ და არა ადმინისტრატიულ პირებს ერთად, დისციპლინარულ სასამართლოს განჩინი გამოაქვს მეორეთა შესახებ, ხოლო პირველთა დანაშაული ისჯება ჩვეულებრივი ადმინისტრატიული წესით.

§ 3. თხოვნის მიცემა სამსახურიდან გასაინ თავი უფლებად ვერ სპობს ზემოხსენებულ დისციპლინარულ საქმეს.

§ 4. ერთ და იმავე დანაშაულისათვის შესაძლებელია ხოლოდ ერთი იმ სასჯელთაგანის მიკუთვნება, რომლებიც მოხსენებულია ამა დებულების მე-8 ე მუხლში.

§ 5. ისეთ დანაშაულისათვის, რომელიც იწვევს სისხლის სამართლის წესით ძიებას, დისციპლინარულ სასამართლოს გადაქვს თავისი დადგენილება ხოლოდ მოსამსახურის შემდეგშიც სამსახურში დატოვების შესახებ და თვით საქმე კი მიდებს შემდეგ სჯელობას სასამართლოს წესით, თანახმად სისხლის სამართლის წესდების მოთხოვნილებისა.

§ 6. თუ დისციპლინარულ საქმის წარმოების დროს გამოირკვა, რომ სამსახურში ჩადენილი დანაშაული ეკუთვნის ისეთ გვარს მოქმედებისას, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით, დისციპლინარულ საქმის წარმოება სწყდება და საქმეს ეძლევა შემდგომი მსვლელობა იმ წესის თანახმად, რომელიც ნაჩვენებია ამა დებულების მე 5-ე მუხლში. ამ შემთხვევაში დისციპლინარული სასამართლო სწყვეტს ხოლოდ მოსამსახურის სამსახურში დატოვების, მის დაუყონებლივ დათხოვნისა თუ უმცროს თანამდებობაზე გადაყვანის საკითხს.

§ 7. სისხლის სამართლის გამართლების განაჩენი ვერ აუქმებს დისციპლინარულ სასამართლოს მიერ ამა დებულების მე 5 და 6 მუხლის წესით მიღებულ გადაწყვეტილებას.

§ 8. სასჯელი, რომელსაც დისციპლინარული სასამართლო გაუჩენს მოსამსახურეებს ჩადენილ ბოროტმოქმედების და სამსახურის მოვალეობათა დარღვევისათვის, იქნება უბრალო შენიშვნა ან საყვედური ბრძანებაში გამოცხადებით და გამოუცხადებლად, უცროს თანამდებობაზე გადაყვანით ჩამოქვეითება და სამსახურიდან დათხოვნა.

§ 9. დისციპლინარულ სასამართლოს ყველა დადგენილებანი სისრულეში მოჰყავთ სათანადო ნაწილთა უფროსებს ერთის კვირის განმავლობაში, დღიდან გაჩენილ სასჯელის ბრძანებაში გამოქვეყნებისა.

§ 10. დისციპლინარულ სასამართლოს დადგენილება არ განსაჩივრდება.

§ 11. დისციპლინარულ სასამართლოს საქმეებს აწარმოებს გზათა უფროსის კანცელარია დისციპლინარულ სასამართლოს მდივნის ზედამხედველობით, რომლის მოვალეობას შეადგენს გზათა უფროსისაგან წერილობით განკარგულებს. მიღების შემდგომ შეადგინოს ბრალდების შინაარსის და გამოძიების შედეგის მოკლე ანგარიში და თან დაურთოს ნამსახურობისა და სამსახურის განმავლობაში გარდახდილ სასჯელთა ცნობები.

§ 12. მცირე დანაშაულის გამოძიებას აწარმოებენ პირადად ადმინისტრაციის ცალკე წარმომადგენლები ან კომისიები, როგორც ეს მიღებულია არსებული წესებით, ხოლო უფრო ძნელი დანაშაულის გამოძიება გზათა უფროსის პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან შეთანხმებით დაევალირება გზათა ადმინისტრაციისა და კავშირის წარმომადგენელთაგან შემდგარ საგანგამომძიებლო კომისიას.

§ 13 დისციპლინარულ სასამართლოს თავმჯდომარეთ ითვლება შრომის სამინისტროს წარმომადგენელი, ხოლო წევრებად: ორ ორი წარმომადგენელი გზათა სამმართველოსი და გზების მუშა-მოსამსახურეთა კავშირისა და ამდენივე მოადგილენი. სასამართლოს წევრებს მუშა-მოსამსახურეთაგან ირჩევს უკანასკნელთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა. სასამართლოს წევრებს სამმართველოსაგან ნიშნავს გზათა უფროსი. შრომის სამინისტროს წარმომადგენელს ნიშნავს შრომის მინისტრი. სასამართლოს შემადგენლობა ირჩევა ერთი წლით.

სასამართლოს სხდომებში სათანადო ხმით მონაწილეობას იღებენ, საჭიროების მიხედვით, გზათა იურის-კონსულტი, ნაწილთა და განყოფილებათა უფროსები, რკინის გზის მოსამსახურეთა და მუშების პროფესიონალურ კავშირის გამგეობის წევრები და წარმომადგენლები შრომის სამინისტროსი.

გარეშე პირთა დასწრება უნდა ხდებოდეს სასამართლოს დადგენილებით.

§ 14. განსახილველ საქმეთა რიცხვა ეგზავნება დისციპლინარულ სასამართლოს თავმჯდომარეს და წევრებს სხდომამდის სამი ღლით ადრე, რათა მათ საშუალება მიეცეთ დისციპლინარულ სასამართლოს მდივანთან დროულად გაეცნონ საქმის შინაარსს. საქმის გარჩევის დღე ეცნობება ბრალდებულ მოსამსახურესაც, რომელსაც ეძლევა აგრეთვე საშუალება გაეცნოს საქმის მთ ლ მასალას და წარმოადგინოს დამატებითი წერილობითი განმარტებანი.

§ 15. დისციპლინარულ სასამართლოს დადგენილების კანონიერობისათვის საჭიროა საქმის გარჩევას დაესწრენ, გარდა თავმჯდომარისა, არა ნაკლებ სასამართლოს ორი წევრისა, თითო-თითო ორივე მხარეთაგან.

§ 16. სხდომის გახსნისას, თავმჯდომარის წინადადებით, სასამართლოს მდივანი აკეთებს მოხსენებას თითოეულ საქმის შესახებ ცალკე და აქვეყნებს საქმეში ჩართულ მასალას.

§ 17. მოხსენების მოსმენის შემდეგ დისციპლინარულ სასამართლოს, თუ საჭიროდ დაინახავს და ჰთხოვს ბრალდებული, და მოწმეები ან შეამოწმოს ჩვეულებითი წერილობითი საბუთები, შეუძლიან გადასდოს საქმის გარჩევა გამოძიების დამთავრებამდე, რომელსაც ანდობს წინანდელს ან საგანგებოდ არჩეულ კომისიას.

§ 18. თუ საქმე საკმაოდ გამორკვეულია, დისციპლინარული სასამართლო სწყვეტს მას დაუყოვნებლივ ხმის უმრავლესობით, ხოლო ხანათა გაყოფის დროს თავმჯდომარის ხმას ეძლევა გადამწყვეტი ძალა.

§ 19. დასაბუთებული დადგენილება იმავე სხდომაზე ჩაწერილ უნდა იქნეს თავმჯდომარისა და მდივნის ხელისმოწერით მოხსენებაში.

§ 20. სასამართლოს სხდომები სწარმოებს ბაღხის დაუსწრებლად.

§ 21. იმ პირებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ გამოძიებაში, აგრეთვე იმათაც, რომლების ნათესაურ ან მოყვარულ კავშირში არიან ბრალდებულთან, არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საქმის გარჩევაში.

§ 22. დისციპლინარულ სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები თითო სხდომაში მონაწილეობისათვის ღებულობენ გასამრჯელოს:

თავმჯდომარე 150 მან., ხოლო წევრები ასა-ასა მანეთს. გასამრჯელო სასამართლოს მდივნისა, რომელსაც ამ თანამდებობაზე ირჩევს სასამართლო გზათა უფროსის კანცელარიის მოსამსახურეთაგან ერთი წლის ვადით, და აგრეთვე კანცელარიის ხარჯები განსაზღვრულ უნდა იქნეს გზათა უფროსის კანცელარიის საექსპლოატაციო ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს.

გზათა მინისტრის მოვ. ჭეჭინაძე.
შრომის მინისტრის ამხ. ბახტაძე.

ამა ოფიციალური განყოფილება

მიწის ძვრა

ტფილისის კომისიის შემოწირულებათა ბიულეტენი.

ტფილისის კომისიამ შემოწირულებათა დაწუების პირველ დღეს მიიღო:

ბ. ნ. ჩხეიძისაგან 500 მ., ივანე გომართელისაგან 500 მ., ელ. გომართელისაგან 500 მ., ო. ლაცაბიძესაგან 250 მ., ო. სვანიშვილისაგან 1000 მ., დ. აგხ. ბისაგან 500 მ., არ. ჯაჯანაშვილისაგან 500 მ., დ. ვაჩნაძისაგან 150 მ., ბ. ამირაღოვისაგან 250 მ., შავლიშვილისაგან 250 მ., კ. კეკანაძისაგან 500 მ., გიგინეიშვილისაგან 500 მ., ვარ. ახვლედიანისაგან 500 მ., ვას. ხახანაშვილისაგან 500 მ., მ. გველესიანისაგან 200 მ., ელ. ელიავასაგან 100 მ., ს. კალანდარაშვილისაგან 100 მ., ნინო ნაკაშიძისაგან 250 მ., ნინო თავდგირიძისაგან 100 მ., ნ. ლორთქიფანიძესაგან 150 მ., ნინო გაბაშვილისაგან 300 მ., სოლ. ახვლედიანისაგან 500 მ., ეფრემ მეტრეველის ოჯახში შეგროვილი 2150 მ., ქალაქის მილიციელთა შორის შეგროვილი 120000 მ., იოსებ ნინუასაგან 1000 მ., რადიოტელეგრაფის მოსამსახურეთაგან 1525 მ., გარეშე საქმეთა სამინისტროში შეგროვილი 67.000 მ., ვლ. რატიშვილისაგან 100 მ., ა მ.

ლესიაშვილებისა და ანბ. ფირმისაგან 15000 მ., კოოპერატიული საზ. „პური“ საგან 10000 მ. —სულ შემოვიდა 224 875 მან.

ვინც გორს არ დაეხმარება ის ღალატობს საქართველოს...

მოწოდება

მოქალაქენო! გორსა და იმის გარშემო სოფლებში ოთხმოცდათასამდე სული დაზარალდა. მათი სარჩო-საკუბ-საბადებელი, ტანისამოსი, ქვეშაგები მიწის ქვეშ მი ჰყვა ხანგრძლივებით დ საცოდავი ხალხი ამ სიცივეში გარეთ იყინება. შეიბრალეთ შიშველი ბავშვები, სიცივე საგან აკანკალებული ქალები და ხელ ფეხ დაყინული მამაკაცები.

მათთვის ყოველგვარი ძველი და გამონაცვალი, ჩოხა, ლამბ ქა, თეფში, კოვზი, ძველი წინდა, ფეხსაცმელი, საბნები და სხვა დიდი გაჭირვა.

ამ დღეებში ტფილისში გაიმართება ყოველ გვარი ნივთეულობის მოგროვება დაზარალებულთათვის, სათანადო კვიტანციების გაცემით.

ვისაც რა შეგიძლიათ, ვისაც რა გიმეტებათ, გაუგზავნეთ თქვენ გაუბედურებულ თანამემამულენი. ნივთების მიმღებ ჩამოართვით კვიტანციები.

ყოველგვარი წვრილმანიც დიდის მადლობით იქნება მიღებული.

დაზარალებულთა დამხმარე
მთავარი ბიურო.

ყოველ დღეს დაეკითხე შენს თავს: რა გააკეთე ულუკმოდ დარჩენილ გორელებისათვის.

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავრობის სამანგებლო კომიტეტის შემადგენლობა.

1. თავმჯდომარე კომიტეტისა იუსტიციის მინისტრი რაჟდენ მათეს ძე არსენიძე, მისამართი: ახალი ბებუთოვის ქ. № 11. ტელეფონის № სამსახურისა 13 56, ბინისა 7 54.

2. თავმჯდომარის ამხანაგი შ. ნაგებ საქმეთა მინისტრის ამხანაგი პარმენ გაბრიელის ძე ჭიჭინაძე (ერობათა კავშირის წარმომადგენელი), მისამართი: ოლღას ქ. № 11. ტელეფონის № სამსახურისა 17 83, ბინისა 1 40.

3. დაზფუძნებელი კრების წევრი ივანე გედეონის ძე გომართელი, მისამართი: ანასტასიას ქ. № 22. ტელეფონის № ბინისა 6-33.

4. ტფილისის ქალაქის თავი ბენია გიორგის ძე ჩაიკიშკილი, მისამართი: პასკევიჩის ქ. № 10. ტელეფონის № სამსახურისა 9 28, ბინისა 17-64.

5. ქალაქის კავშირის წარმომადგენელი მელიტონ ივანეს ძე რუსია, მისამართი: ანასტასიას ქ. № 13. ტელეფონის № სამსახურისა 17 01, ბინისა 11-98.

6. სახალხო გვარდიის მთავარშტაბის წარმომადგენელი ეროძოლოზ ივანეს ძე სირბილაძე, მისამართი: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონის № სამსახურისა 15 59, ბინისა 19 76.

7. წითელი ჯვრის წარმომადგენელი მიხეილ ოთარის ძე ხანდუევი, მისამართი: ანასტასიას ქ. № 13 ტელეფონის № სამსახურისა 2 94, ბინისა 9 31.

8. რკინის გზის წარმომადგენელი ვასილ სპირიდონის ძე ბარკალაია, მისამართი: ბათუმის ქ. № 24. ტელეფონის № სამსახურისა 4 58, ბინისა 8 75.

9. მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელი დიმიტრი ევგენის ძე ათაბეკი, მისამართი: მაიდავითის ქ. № 5. ტელეფონის № სამსახურისა 12 51, ბინისა 7-10.

10. შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიკო-სანიტარულ განყოფილების უფროსი სვიმონ დავითის ძე ჯაფარიძე, მისამართი: ვერის დიმართი № 5, ბინა 3. ტელეფონის № სამსახურისა 56, ბინისა 14.

11. პროფესიონალურ კავშირთა თავმჯდომარე ალფესი ხელაძე, პოოფს. კავშირთა საკრეტარიატი ფუნთა სასახლე. ტელეფონის № სამსახურისა 14 74, ბინისა 14 7.

12. იმავე კავშირის თავმჯდომარის ამხანაგი სანსონ დომორჯინიძე.

13. კომიტეტის საქმეთა მმართველი, იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორი გ. თ. ფორდანია. მისამართი: სასამართლოს ქ. № 26. ტელეფონის № სამსახურისა 17—57, ბინისა 17—0.

გახსოვდეთ შოთას სიტყვები: „რაც გაცია გასცემ შენია—რაც არა დაკარგულია“. დაეხმარეთ გორს.

დაეხმარეთ მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს.

საინფორმაციო ფურცელი უცხოეთისათვის.

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დახმარე მთავრობის კომიტეტში ასეთი საინფორმაციო ფურცელი შეადგინა უცხოეთისათვის:

25 თებერვლამდე მთავარი კომიტეტის მიერ მიღებულ ოფიციალურ ცნობებით, მიწის ძვრისაგან დაზარალებულია ქ. გორი და 47 სოფელი გორის მაზრისა: სკრა, ხიდისთავი, ოხერა, ატენი, ბოვლე, უფლისციხე, ჭახვრელი, ყარაღაჯი, ხელთუბანი, სვენეთი, თორტიზა, კარალეთი, ჩეჯვრისხევი, ბეთლემი, რუსი, ქარელი, ბებნისი, ტინისხიდი, ფრანისი, თედოწმინდა, კვისი, ოლთისი, ღვარები, ზედა ქოვრისთავლარი, ხანდაკი, შინდისი, ბერბუკი, ოთარეული, მეტეხი, გრაკალი, სასირეთი, ბარნაბიანთ კარი, საჭაშეთი, გორა, ავკეთი, ნავისი, რეხა, ახალსოფელი, ზედაზენეთი, შავშები, ნაწრეტი, ახრისი, პატარა გორიჯვარი, დიდი გორ ჯვარი და ჯებირი.

დაზარალებულ ადგილების სივრცე შეადის 1,200 კვადრატულ ვერსს. ქ. გორში და ჩამოთვლილ სოფლებიდან 20 ში დანგრეულია სახლების 100% დანარჩენ 27 სოფელში კიდარა უმცირეს 50 პროც. სა. ფასახლკარად ქ. გორში დარჩენილია 35 ათასამდე კაცი, დაზარალებულ 47 სოფლის მცხოვრებთაგან კი დაახლოვებით 40—45 ათასი კაცი, სულ 75-80 ათასი კაცი. დღ ვანდლამდე ნანგრევიდან ამოღებიათ 200 მდე დახოცილი; საავადმყოფოში მოყვანილი და დასახ ჩრებულია 300 მდე, აქედან 200 მძიმედაა დაშავებული.

ოთხფეხა საჭონლის 80 პროც. დაიღუპა. დარარჩენ ოფიციალური ცნობები ჯერ არ მოსულა, მაგრამ კერძო, ოფიციალურად ჯერ შეუმოწმებელ ცნობებით ზემოდ მოყვანილ ცნობებით არ ამოიწურება მცხოვრებთათვის მოყენებული ზარალი. ყოველდღე, რამდენიც ახალ ჯერ კიდევ დაუთვალიერებელ კუთხეებში იგზავნება დამხმარე რაზმები, იმდენი ირკვევა ახალ-ახალი მსხვერპლი, მცხოვრებთათვის მოყენებულ ზარალი. დაახლოვებით მაინც გამოანგარიშება, ჯერ ჯეროვნად ყოველად შეუძლებელია. ერთი კი შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ეს ზარალი ათიოდ მილიარდ მანეთით.

მსხვერპლის შედარებითი სიმცირე აიხსნება იმით, რომ პირველ მიწის ძვრის დროს ღამის 2 ს. და 55 წ. ცოტა სახლი დაზიანდა, ხოლო დღის 2 ს. და 45 წ. კი შეშინებული ხალხი სახლებში აღარ შედიოდა. ოთხფეხა საქონელი კი პირველ მიწის ძვრისთანავე დაიღუპა, რადგან თავლები და ბაკებიც დაზიანებულ დასანგრევი იყო.

მდიდარო, მიწის ძვრა უველას ათანასწორებს. გაიღე შენი სიმდიდრიდან დაზარალებულთა მოსაყვანებლად

დამფუძნებელი კრება

27 თებერვლის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

ქრისტინე შარაშიძის ასულის მიხედვით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა: 1) სახ ზანო რკინის გზის საოპერაციო ავანსის დამტკიცებისა, ამ ვე რკინის გზისათვის განსაკუთრებული თანხის დაარსებისა და სატრიალებელი კაპიტალის გადიდების შესახებ; 2) ლანჩხუთის ქალაქის თვითმართველობისათვის და სენაკის ერობისათვის 1 მილიონი მანეთის სესხად მიცემისა; 3) საარტილერიო საწყობის შესანახ დ 2,113 986 მან. გადადებისა და 4) საბოლოო ტექსტი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ორგანიზ ციის კანონისა.

ი. ელიგულაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახელმწ ფო დაწესებულებათა შესანახად ყოველთვიურად 65,827,720 მან. გადადების დეკრეტის მოქმედების განგრძობისა.

ი. ხალაყაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი მიხეილის საავადმყოფოს და სალეჭიმო სასანიტარო განყოფილების 1918—1919 წ. ხარჯის დასაფარავად 1,970,462 მან. გადადების შესახებ.

ვ. რუხაია იურიდიული კომისიის სახელით კრებას მოახსენებს დამფუძნებელ კრების წევრობისა და მოხელეობის შეუთავსებლობისა და წევრთა გასამრჯელოს კანონის დამატების შესახებ—კანონ პროექტს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ბანკი არის სრულიად დამოუკიდებელი სახელმწ ფო ორგანიზაცია, დ პუ ატმა შეძლება სახელმწიფო ბანკის საბჭოს და პ ეზიდიუმის წევრობა და დეპუ ატობა შეათავსოს. საჭმიანობის, პრაქტიკული თვალსაზრისით ეს სასარგებლო და მისაღებია, ამიტე იმ ჯელა იურიდიულმა კომ სიამ და თ ვნა წინაშე წარმოადგინა კანონ პროექტი, რომლის ძალით 4 აპრილის კანონს უნდა დაემატოს მეორე შენიშვნა შესახებ სახელმწიფო ბანკის საბჭოს და პრეზიდიუმის წევრობის და დამფუძნებელი კრების წევრობას შეთავსებისა.

ლ. შენგელაია (ს.-რ.) მოითხოვს, რომ 4 აპრილის დადგენილება—დამფუძნებელი კრების წევრობის და მოხელეობის შეუთავსებლობის შესახებ—ძალაში უნდა დარჩეს, ვინაიდან ჩვენს ცხოვრებაში ამ დადგენილების შემდეგ ცხოვრებაში ისეთი რამ არ მომხდარა, რომელიც ამ დადგენილების დარღვევას მოითხოვდეს. ორატორი აღნიშნავს, რომ ეს კანონ-პროექტი არ არის მისაღები არც ფორმალური და არც პრაქტიკული მოსაზრებით. საჭმიანობის ხედრით თუ განვიხილავთ საკითხს, უნდა ვაღიაროთ, რომ დამფუძნებელი კრების გარეთაც ბევრია ამ საქმის მცოდნე და გამოცდილი ხალხი, რომელთაც შეიძლება ეს საქმე დაეკისროს, ამიტომ ჩვენი ფრაქცია—ამბობს ორატორი—ამ კანონ პროექტის წინააღმდეგ მისცემა ხმას.

გ. გვაზავა (ნ.-დ.) აღნიშნავს, რომ წარმოდგენილ საკითხს პრინციპიული ხასიათი აქვსო. პრინციპი კი ასეთი უნდა იყოს: კანონშემდებელი სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს, როგორც იურიდიულად, მატერიალურად, ისე ზნეობრივადაც. დეპუტატი თუ სხვაგან მუშაობს სადმე და იქიდან ჯამაგირს იღებს, ცხადია მას აქვს იქ ერთნაირი ინტერესი და ეს ხელს შეუშლის მას დეპუტატის მოვალეობის აღსრულებაში. ჩვენი ფრაქცია პრინციპიალურად წინააღმდეგია ამ კანონ-პროექტის. არც პრაქტიკულის მხრით ვხედავთ ჩვენ რაიმე საჭიროებას ამ კანონის მიღებისა. ჩვენ შეგვიძლია ამ შემთხვევაში სრულიად აუხსნათ ჩვენი დეპუტატებს და ავირჩიოთ საბჭოს წევრები სხვა წრიდან. ამ შემთხვევაში მე მგონია, რომ შეიძლება ფინანსისტების, ვაჭარ-მრეწველთა წრიდან ხალხს არჩევა. ამიტომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ წარმოდგენილი კანონ-პროექტისა.

ქ. ნინიძე (ს. დ.) ეს საკითხი მარტივია. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ იურისტებს უყვართ საერთოდ განუკუთნებულათ მსჯელობა და სწორედ ამ შემთხვევაშიაც განყენებულათ დავს აქ საკითხი. და მართლაც იურიდიულ სფეროში ჩვენ შეგვიძლია დაეხატოთ ისეთი დეპუტატი, რომელიც არაფრისაგან არ არის დამოკიდებული, მაგრამ თავის თავად ცხადია, რომ ეს იდეალი იქნება და არა სინამდვილე. სინამდვილეში ასეთ აბსოლიუტურ დამოკიდებულებაზე დეპუტატებისა ლაპარაკი არ შეიძლება.

ჩვენ გვგონია, რომ დღევანდელ პირობებში, როცა ახალი ორგანიზაცია იქმნება, ჩვენ იძულებული ვართ ეს თანამდებობანი შევათავსოთ დამფუძნებელი კრების წევრობასთან. შემდეგ ორატორი ამტკიცებს, რომ ბანკის წესდების ძალით სახელმწიფო ბანკი დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომლის წევრებს ირჩევს პირდაპირ დამფუძნებელი კრება. ამას ისიც უნდა დ უ ატოთ, რომ საბჭოს და პრეზიდიუმის წევრებს არავითარი ადმინისტრაციული ფუნქციები არა აქვთ და ამიტომ მისაღებია წარმოდგენილი კანონ პროექტი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ გვაზავას და შენგელაიას ავიწყდებათ ის გარემოება, რომ ბანკი განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება. მას დამფ. კრებამ ერთნაირათ დამოუკიდებლობა მიანიჭა, საბჭოს და პრეზიდიუმის წევრება თვითონ დამფ. კრება ირჩევს, საგანგებო წევრი არ არის ვინმე ეს გავლენის ქვეშ, რომ მას ხელი შეუშალოს ამ გარემოებამ ოვის დ პეტატობის ასრულებაში. რაც შეეხება დროს, საბჭოს წევრობა ამდენ დროს არ ართმევს დამფუძნებელი კრების წევრს, რომ ამან მას ხელი შეუშალოს. ორატორი უპასუხებს, აგრეთვე შენგელაიას და ამტკიცებს რომ კანონის შეცვლა, თუ კი ცხოვრებამ მოითხოვა, ყოველთვის შეიძლება და ეს ასეც უნდა იყოსო. მუხლობრივი განხილვა მოხდება სათანადო ვადის გასვლის შემდეგ.

(დასასრული იქნება)

შენი შვილის ტოლები ცრემლებს აფრქვევენ პატარა თვალებიდან, თუ შვილი გიყვარს მათაც დაეხმარებით, შესწირე გორელ ბავშვებისათვის.

ტერმინოლოგიის შემუშავების გარშემო

I.

„საქართველოს რესპუბლიკის“ № 44 ში ამ საკითხის შესახებ ბ ნ. დანელიას წერილია მოთავსებული. ქართული ტერმინოლოგიის შეწუშავების საკითხი მეტად მწვავედ სდგას ჩვენს წინაშე და დაჩქარებით გადაწყვეტას მოითხოვს. ვინაიდან მის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, საკითხი კი მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია და ქართველი ერის ინტერესებისათვის აუცილებლად საჭიროა მისი მიზანშეწონილად გადაწყვეტა, საჭიროდ მიგვაჩნია საკითხის ყოველ მხრივ გარკვევა.

დღეს საკითხი, სამწუხაროდ, ზოგიერთებს მიერ ასე არის დაყენებული: ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია ღმერთო უნდა იყოს თუ ეროვნული. ასეთი საკითხი, ჩემის ღრმა რწმენით, არც უნდა არსებობდეს. თუ არსებობს ქართველი ერი, ქართული ენა, საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რასაკვირველია, ტერმინოლოგიაც ქართული უნდა იყოს. ყველა ერს თავისი საკუთარი ენა აქვს და სანამ ცოცხალი იქნება, იქმნება კიდეც, ვინაიდან არავითარი საყოველთაო ენა ჯერ ჯეროვნად არ შექმნილა, არც შეიქმნება და ყოველ „ეს პერანტის“ მგზავსი ენის წარმოშობის ცდა ალბად ისევე ჩაიფუშება, როგორც ამდენჯერ იფუშებოდა. როგორც შეუძლებელია კაცობრიობის ყველა შემადგენელ ერებს ერთი ტერიტორია მივსცეთ, ერთი ისტორია შეუქმნათ, ერთი ხასიათი და ზნე-ჩვეულება გამოუმუშაოთ,—ისევე შეუძლებელია ყველა ისინი ერთ ენაზე ავალაპარაკოთ.

და ეს არც სასურველი არის.

წინმსწრებლობის მოთხოვნილებაა არა ერთფეროვნობა, ნივთიერობა, არამედ სხვადასხვაობა, მრავალფეროვნობა, შეხლა-შემოხლა, მეტოქეობა, ბრძოლა. ამიტომ სწორედ პროგრესული მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ყოველ ერს შეაქვს თავისი წვლილი კაცობრიობის დაწინაურების საქმეში თავისი სახით, ნიჭით, ცოდნით, ენერგიით, გამჭრიახობით...

შეიძლება გვითხრან: მართალია, ყოველ ერს თავისი საკუთარი ენა უნდა ჰქონდეს, მხოლოდ სამეცნიერო ტერმინოლოგია საერთო უნდა იყოსო.

რატომ, რა მოსაზრებით? საერთაშორისო ტერმინოლოგიაზე ფიქრი ხომ ყოვლად ამაოა. ტერმინების კოლექცია ფორმულების ენა არ არის. განცალკევებულ სახელების ერთმანეთთან გადაბმა, შეზავება, ჰმებით და თანდებულებით შეერთება და სხვ.,—ყოველ ქვეყნაში თავის საკუთარ ენაზე სწარმოებს და ამ ენის საკუთარ, სრულიად განკერძოებულ კანონებს ემორჩილება. თვით ეს ტერმინები კიდეც რომ საერთაშორისო იყოს, მათი გამოყენება ყოველ ხალხში და ქვეყნაში მაინც თავისებური და ჯიხიერთათვის გაუგებარი იქნება. თუ თვით ენა არ იცით, ცარიელი ტერმინებით ვერაფერს გაიგებთ. შეუძლებელია ცალ-ცალკე ტერმინების ამოძახილით თანამედროვე მეცნიერების ურთიერთ ცნებების ახსნა და განმარტება. მაშასადამე, საერთაშორისო ტერმინოლოგია კიდეც რომ შეექმნათ, ვერავითარ დანიშნულებას ვერ შეასრულებს.

მაგრამ დავუშვათ საკითხი: არსებობს თუ არა საერთაშორისო მთლიანი სამეცნიერო ტერმინოლოგია? არც არსებობს და არც არასოდეს არსებულა. არსებობს მხოლოდ სქოლასტიკის მიერ ხელოვნურად ქმნილი რამდენიმე ათეული ტერმინი, მაგრამ მათ გვერდით ყველ ქვეყანაში გაცილებით მეტი ეროვნული. ამასთანავე სავსებით ერთგვარ კონტროლის ცნებებს ზოგს ყველგან საერთაშორისო სახელი ჰქვია, ზოგს კი ყოველ ხალხში თავისი ეროვნული; მაგალითად, уравненіе ყველგან ეროვნული არის მაშინ, როდესაც ფორმულა საერთაშორისო; отношеніе—ეროვნული, пропорція—საერთაშორისო; горная порода—ეროვნული, минералი—საერთაშორისო; сила, работа—ეროვნული, ენერგია—საერთაშორისო და სხვ. და სხვ.

სად არის აქ ლოგიკა?

მაგრამ შეიძლება თვით ცხოვრება ცდილობს ასეთი ულოგიკობის გამოწორებას. დიახ, ცდილობს! მხოლოდ არა იმ მხრივ, რომ ეროვნული ტერმინები საერთაშორისოდ აქციოს, არამედ პირიქით, საერთაშორისო—ეროვნულად. ამნაირად, საერთო სიტყვების რაოდენობა თან და თან იკლებს, კლებულობს, ეროვნული კი იზრდება, მატულობს. ამან ფართო ხასიათი მიიღო გერმანიაში, საფრანგეთში და იაპონიაში. ვითომდა საერთაშორისო დიამეტრის ნაცვლად გერმანიაში Dur-

chmesser ია შემოღებული, კოორდინატების მაგიერ—Leiger და სხვ. არას ვიტყვი ჩეხეთზე და პოლონეთზე, სადაც სამეცნიერო ტერმინოლოგია თითქმის „საერთაშორისოთ გაერთიანებულია.

მაშასადამე, მთლიანი საერთაშორისო სამეცნიერო ტერმინოლოგია არ არსებობს; რაც არსებობდა, ისიც თანდათან ისპობა და ერთგვარად იქცევა და ვიოხლობ, რომელ „საერთაშორისო“ ტერმინოლოგიის შემოღებაზე შეიძლება საქართველოში ლაპარაკი?!.

საზოგადოებაში გამჯდარია ის აზრი, რომ ევრედ წოდებული „საერთაშორისო“ ტერმინოლოგიის შემოღება დაწინაურებულ ქვეყნებთან დაგვაახლოებს და ამნაირად ერის კულტურულ წარმატებას გამოიწვევს.

ეს ყველად შეცდომაა. ზევით მქონდა აღნიშნული, რომ ასეული ტერმინების ცოდნით შეუძლებელია ევროპის კულტურის და მეცნიერების შეთვისება. ამ უკანასკნელისთვის თვით იქაური ენების ცოდნაა საკრო. აბა მგონია ევროპასთან დაახლოების საქმეს რაიმე შესძინოს ისეთი სიტყვების ბმარებამ, როგორც ინტერფერენცია, ფოსფორესცენცია, ფლუორესცენცია, ინდუქცია, დედუქცია, პერპენდიკულიარი, პროპორციონალობა და სხვა. ევროპის კულტურულ დონემდე ამაღლების საერთო სიტყვების, თუნდაც ძალიან კეთილხმოვანის, შემოღება კი არ გამოიწვევს, არამედ სწავლა-განათლების ხალხში ფართო გავრცელებას.

ერთი წუთით დავუშვათ, რომ დაწინაურებულ ქვეყნის ტერმინების შემოღებით მართლაც მოხდება ერთგვარი დაახლოება ამ მოწინავე ერთან. მაგრამ ამ გზას თუ დავადექით და ლოღიკას არ ვეღალატებით, მაშინ უკომპრომისო იქნება არა მარტო ტერმინოლოგია, არამედ მთელი მისი ენა გადმოვნერგოთ. მართალია, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი ხომ ჩვენზე გაცილებით მაღლა სდგანან; აქვთ უფრო მაღალ დონეზე მდგომი მეცნიერება, უფრო კარგი ტექნიკა, უფრო მაღალი კულტურა, უფრო მეტი სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთები ჰყავთ უფრო მეტი მეცნიერნი, მეტი მკვლევარნი, მეტი სპეციალისტები—და განა უკეთესი არ იქნება, განა უფრო არ დავწინაურდებით, თუ მთელი ენა გადმოვნერგეთ და კულტურასა და მეცნიერებას პირველ წყაროებიდან, უშუამავლოთ დავეწაფეთ?!

მაგრამ ეს ხომ ღმერთს ჰქონია ქართველი ერის არსებობას და აზსურდათ მიაჩნიათ ყველა იმათ, ვინც ერის გაქრობაზე არ ოცნებობს...

ნამდვილად კი ევროპასთან დაახლოება გამოიწვევს, როგორც ზევით მოვიხსენიე, ხალხში სწავლა განათლების გავრცელება და ამისათვის კი ეროვნული, გასაგები ენაა საჭირო. ხალხს ტერმინების დახატვება, თუნდაც იეროგლიფების, როგორც ავტომობილი, პაროვოზი, ჰაეროპლანი, ელექტრობა და მაგნიტიზმი—ბევრს არაფერს შესძენს, თუ არ შეეგნებინებთ მას საგნების და მოვლენების თვით ბუნება, შინაარსი, გამომწვევი მიზეზები, მათ მოქმედების და ურთიერთობის ელემენტები და ფაქტორები. ასეთი ახსნა-განმარტება, რასაკვირველია, უფრო ადვილი და შესათვისებელი მშობლიურ ენაზე იქნება.

მხოლოდ ამ გზით შესაძლებელია სწავლა-განათლების ფართო გავრცელება და მაშასადამე, ხალხის დაწინაურებაც.

ეროვნული ტერმინოლოგია საჭირო კიდევ იმიტომ, რომ მეცნიერების ესპერანტობა აზრთვების პროცესით შემოკლება და გადვილება; ბუნებრივად საჭიროა ენებად რთული და ღრმა აზრის ერთი სიტყვით გამოსახვა. მეცნიერება ამისთვის მეტყველ, მტკიცე და მართებულ ენას ითხოვს.

ამგვარ ტერმინოლოგიის წარმოშობა კი მხოლოდ ცოცხალ და გასაგებ მშობლიურ ენას შეუძლია.

ამისთანაც ტერმინი ცნების შეგნების და შეთვისების უნდა ადვილებდეს; ის თვით შინაარსის გამომსახველი უნდა იყოს; ყოველ მის მარცვალში რაც შეიძლება მეტი აზრი უნდა თავსდებოდეს. ამის მიღწევა კი მხოლოდ საკუთარ, დედა ენის შემწეობით არის შესაძლებელი. და ეხლოდ ამ შემთხვევაში ერთხელ შესწავლილი მკვდრად გაიჯდება ადამიანს ძვალ რბილში; მხოლოდ მაშინ აღარ იქნება ადვილი იმ სამწუხარო მოვლენას, რომ ორი-სამი თვის შემდეგ უკვე გავიწყდებათ, თურა არის, მაგალითად, დიფრაქცია ან რეფრაქცია, თუ რომელია ანოდი და კატოდი, diamagnitnый და парамагнитный და სხვ.

ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნა ჭართული ენაზე მით უფრო საჭიროა, რომ ჭართული ენა განკერძოებული შტოა ქვეყნიერების ენებისა. ევროპიელისთვის მკვიდრი, საკუთარი გასაგები, თითქმის მშობლიური სიტყვები ქართულ ყურისთვის მუდამ უცხო და მოუხეშავი არის. ჩვენებურ თავბოლოების წაბმით ეს სიტყვები ჩვენს ენაში ვერ ჩაიხრდებიან და ვერც რიგიან ახალ სიტყვებს წარმოშობენ. მეორეს მხრით, ჩვენი ენა მდიდარი და მეტყველია, მოქნილი და მხატვარი. და ყველად შეუწყნარებელია ამ სიმდიდრის უარყოფა და მის ნაცვლად ენაში მოუხეშავ უცხო სიტყვების ჩაკვეტება.

ტერმინოლოგიის შემუშავების დროს კიდევ ერთ გარემოებას უნდა გაუწიოთ ანგარიში: მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობას. კარგად მოგეხსენებათ, რომ ის ერთ წერტილზე გაყინული არ არის; პირიქით, თანდათან ვითარდება და წინ მიჰკრიალავს. ამნაირად იცვლება თვით ცნება, შინაარსი, ხოლო ტერმინი უცვლელი რჩება. და აქ უნდა დავსვათ საკითხი: მაგალითად მე-17 საუკუნეში შექმნილი ტერმინი ჩვენ უნდა გადმოვიღოთ უცვლელად, თუ შევცვალოთ ის ღრეანდელი მეცნიერულ თვალსაზრისის მიხედვით. აუცილებლად საჭიროა ტერმინოლოგია დაუყრდნოს თანამედროვე მეცნიერულ შეხედულებებს და, მაშასადამე, შეიტანოს ის შესწორებანი, რომელნიც მეცნიერების განვითარების პროცესში მოხდა.

თანამედროვე მეცნიერულ ენის მკაცრ და სუტ მხარეების გარჩევა, შეცდომების და ანაქრონიზმების თავიდან აშორება, სწორი და სავარგისის გადმოღება და ქართულად გამოსახვა,—თავიდან ჰეშმარიტ გზაზე დაყენებს ჩვენი განათლების საქმეს და მის იარაღს-სამეცნიერო ენას.

თავის თავად იგულისხმება, რომ ტერმინოლოგიის შემუშავების დროს დაცული უნდა იქნეს ქართული ენის ბუნება და მისი კანონები.

1. აღნიშნავდეს: ყოველ ერს თავისი საკუთარი ენა უნდა ჰქონდე;

2. საერთო სამეცნიერო ტერმინოლოგია ვერავითარ მიზანს ვერ მიაღწევს და არც შეძლება იყოს;

3. საერთაშორისო მთლიანი ტერმინოლოგია არ არსებობს;

4. საერთაშორისო სიტყვების რაოდენობა თან და თან კლებულობს.

5. რამდენიმე ასეული ცუდო ტერმინის შემოღება ერის ვერავითარ დაწინაურებას ვერ გამოიწვევს;

6. ევროპასთან დაახლოებისთვის ევროპიულ ენების შესწავლაა საჭირო და ხალხში ფართო სწავლა-განათლების გავრცელება;

7. მეცნიერება მეტყველ, მტკიცე და მართებულ ენას ითხოვს, რაც შესაძლებელია ხოლოდ მშობლიურ ენამ მოგვცეს;

8 ტერმინი შინაარსის გამომხატველი უნდა იყოს და მის შეთვისებას ადვილებდეს, რაც შესაძლებელია ხოლოდ დედა ენაზე;

9. ქართული ენა განკერძოებულ შტოს წარმოადგენს და მას ცუდო სიტყვები სრულიად არ უდგება;

10. ტერმინოლოგიის შემუშავების დროს მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობას უნდა გაუწიოთ ანგარიში;

11. ტერმინოლოგიის შემუშავების დროს ევროპის მეცნიერული ენიდან უნდა გამოვართ მტკიცე, და სუსტი, სწორი და შემცდარი ხმარებანი;

12. ტერმინოლოგიის შემუშავების დროს უნდა გამოვუნახოთ ქართული ენის მოქნილობა და სიმდიდრე და დავიცვათ მისი ბუნება და კანონები.

ამ წერილში მხოლოდ ზოგადი მოსაზრებანი გამოვთქვი. შემდეგ წერილში ვეცდები გავარჩიო ბ-ნ ს. დანელიას შეხედულებანი.

ინ. გ. კაკაბაძე.

ქართლის გული დაკოდილია თუ საქართველოს შვილი ხარ, ამ გულის გამთელებისათვის შრომა და ფული არ უნდა დაიშუროთ.

ჯვრის ცხოვრება.

3.

1919 წლის 20 მაისის კანონის შესახებ.

ყოველი მოქალაქე, რომ ლიც სარგებლობს სახელმწიფოებრივი შემოქმედების ნაყოფით, ვალდებულია მთელი ძალ ღონით ემსახუროს ამ სახელმწიფოს და დაიცვას მისი არსებობა ყოველგვარ განსაცდელისგან. ასეთი მდგომარეობა მოითხოვს საბჭდრო ბეგრის საყოველთაო—საპირადოთ მოხდას, რაც შეტანილ იქმნა დამფუძნებელ კრების მიერ „საბჭდრო ბეგრისა და შეიარაღებულ ძალთა შესახების“ კანონში. კანონის თანახმათ რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს ევალება პირადათ მოიხადოს საბჭდრო ბეგარა.

ამგვარმა ამ კანონის სწორ უცვლელათ ცხოვრებაში გატარება შეუძლებელი გახდა.

რესპუბლიკაში არის ზოგი ისეთი მეტრსმეტათ ღარიბი ოჯახი, რომელსაც ყავს მხოლოდ ერთად-ერთი მარჩენალი, ოჯახის დანარჩენ წევრებს კი წლოვანობის თუ ავადმყოფობის გამო შრომის უნარი არა აქვთ. ცხადია, რომ ასეთ ერთად-ერთ მუშა ხელის საბჭდრო სამსახურში გაწვევის ოჯახი ვარდება ისეთ მძიმე მდგომარეობაში, რომ მას განადგურება ემუქრება. გარდა ამისა თვით ხალხის ფსიქოლოგია დიდი ხნის განმავლობაში შეეწირება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით შეღავათით სარგებლობას, რასაც უნდა მოეცეს სათანადო ყურადღება. ასეთი მდგომარეობის გამო დამფუძებელ კრებამ 1919 წლის 20 მაისს მიიღო „ოჯახური მდგომარეობით ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლების“ კანონი, რომლის ძალით ოჯახის ნამდვილათ მარჩენალი—სამხედრო ვალდებულები თავისუფლდებიან მუდმივი და სათადარიგო ჯარის სამსახურიდან მობილიზაციის დროს.

ამ კანონის ქვაკუთხედს შეადგენს „ოჯახის მარჩენალობა“ და ამ ცნების საზომათ კანონით გათვალისწინებულია სამხედრო ვალდებულის ოჯახის ნივთიერი მდგომარეობა, ოჯახის დანარჩენ წევრთა შრომის უნარი და მათი წლოვანობა, რის შესახებ, თანახმად კანონის მეორე და მეხუთე მუხლებისა, სათანადო მოწმობების გაცემა ხდება შემდეგი სახით: მთხოვნელი აგროვებს სოფლის ან უბნის კომისარის, მღვდლის ან წვრილ ბურთულის „საბუთებს“, რომ მისი შვილი ერთად ერთი მარჩენალია მეტის-მეტათ ღარიბ ოჯახისა და სხ.., ასეთ საბუთებს ის არდგენს სამაზრო ერობის გამგეობაში და და იქ წარდგენილ საბუთების საფუძვლით ღებულებს ოჯახის მარჩენლობის მოწმობას. სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარეს ან გამგეობის იმ წევრს, რომელსაც მინდობილი აქვს სამხედრო განყოფილება, არავითარი საშუალებით არ შეუძლია პირადათ გამოარკვიოს მთხოვნელის ოჯახური მდგომარეობა და ამ სახით დაიცვას ამ კანონის მეშვიდე მუხლი, რომელიც ამბობს: „ვისაც ოჯახური მდგომარეობის გამო სამხედრო ბეგრის მოხდაში შეღავათის უფლება აქვს, კარგავს ამ უფლებას, თუ ადგილობრივი თვითმართველობის დასკვნით არ არის ოჯახის ნამდვილი მარჩენალი“.

გარდა ამისა, კანონის მეხუთე მუხლის ძალით ავადმყოფობით შრომის უნარის დაკარგვას ამოწმებს სამაზრო ერობის და ქალაქის თვითმართველობის ექიმი. ამ შემოწმების სხვა და სხვა ბრიკების წყალობით სარგებლობს თითქმის ყველა ბრალიანი და უბრალო მართლაც ღარიბი, უსახსარო და ერთად ერთი მუშა ხელი სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ ღებულობს შეღავათის მოწმობას, ხოლო ზოგიერთი ყოველ-ბრივად უზრუნველყოფილი პირი მოხერხებულათ აწყობს საქმეს და სამხედრო სამსახურიდან თავს იფარავს. ეი ამით აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, რომ ზოგიერთ მაზრებში ნაცვლათ 6%-სა გათავისუფლდა ხუთჯერ ნაკლები, რაც ცხადია კეთილ გავლენას ვერ იქონიებს სამხედრო საქმეზე.

ცხადია, გაწვევით უმეტეს წილ ოჯახური მდგომარეობაში ჩავარდნილ ოჯახს სათანადო დახმარება უნდა, მაგრამ უკეთესი იქნება, რომ უპატრონოდ დარჩენილ ოჯახის მოვლა-დახმარება დაეკისრებოდეს ისევ საზოგადოებას საგანკუთხოდ შეშუშავებულ წესის თანახმად. ამით მოისპობა ის უსამართლობა, რომლის შესახებ ზევით გვქონდა მოხსენებული. საზოგადოება, თემი, ყველაზე უკეთ იცნობს თავის მეზობლის ოჯახურ მდგომარეობას და ის, როგორც პირადათ დაინტერესებული, აღმოუჩენს სრულ დახმარებას ხოლოდ ისეთ ოჯახს, რომელიც ამის ნამდვილად ღირსია. ამ სახით შესაძლებელი გახდება ყველა სამხედრო ვალდებულთა სამსახურში გაწვევა და ამავე დროს მარჩენალთა ოჯახებიც მიიღებენ სრულ დახმარებას.

არის აგრეთვე ერთი მოსაზრებაც, რომელიც ამართლებს ამ შეხედულებას: ოჯახის მარჩენალობით სამსახურიდან განთავისუფლებამ დღეს მასიური ხასიათი მიიღო და ყოველ წლიურათ მათი მოლაშქრე ჯარში გადარიცხვით რამოდენიმე წლის განმავლობაში მოგროვდება დიდი რიცხვი სრულად ჯანსაღ, მაგრამ სამხედრო საქმეში სრულიად გაუწვრთვნელ მოჯალაქეთა, რაც რესპუბლიკის საომარ ძალის გაძლიერებას ხელს ვერ შეუწყობს. მაგრამ სანამ ჯერ 20 მაისის კანონი არსებობს—აღსასრულებელმა ორგანოებმა ყოველივე საშუალება უნდა იხმარონ, რომ ეს კანონი სისწორით და სამართლიანად იქნეს დაცული და ძღრულებული.

ა—ნი.

რამდენი დედა კვნესის გორის მიწის ძვრით, თუ დედა გიყვარს დაეხმარე დაზარალებულთ

ქალაქის თვითმართველობაში.

დადგენილებანი.

შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილების 13 სოციალურ თანხიდან ვორონცოვ-დაშკოვს თავშესაფარს ეძლიოს ყოველთვიურად ხუთი ათასი მანეთი, რაიც მოხსენდეს საქმის დასამტკიცებლად.

— ნება მიეცეს შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილებას თავის შეხედულებისამებრ გაგზავნოს უპატრონო ბავშვები სხვა და სხვა ორგანიზაციების თავშესაფარში თავის ხარჯით, რასაც გამოიღებს განყოფილების სპეციალურ თანხიდან, იმ პირობით რომ ეს ხარჯი არ აღემატებოდეს თვეში 50,000 მანეთს.

— ქალაქის საავადმყოფოს იმ ექიმებს, რომლებიც მუშაობენ „საავადმყოფო ქალაქში“ მიეცეს საავადმყოფოს ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში ტრამვაიზე სამგზავრო ბილეთები.

— ქალაქის გამგეობის წევრმა ბესელიძემ მოახსენა ქალაქის გამგეობას, რომ საქართველოს წყალთა სამმართველო თხოულობს სეხათ 250 ბოჭკა ცემენტს, რაიც წყალთა სამმართველოს სჭირდება ყარაიაზის არხის შეკეთებლად. გამგეობამ დაადგინა დაკმაყოფილებულ იქნას მათი თხოვნა იმ პირობით, რომ როცა წყალთა სამმართველო მიიღებს ბეჭრებიჯანიდან ცემენტს დაუყონებლივ დაუბრუნოს.

— ორთაჭალის წისქვილი დაიბრუნოს საქსურსათო განყოფილებამ კავკასიის შავი ზღვის საზოგადოებისაგან აღწერით და უშტატოთ. დაევალოს სასურსათო განყოფილე-

ბას მოაწყოს წისქვილის მიმღები კომისია, სადაც უნდა შევიდნენ: საურსათო განყოფილების, ტხნიკურ კონტროლის, სასურსათო განყოფილების საბაჭხალტრის წარმომადგენელნი და წისქვილის პატრონის წარმომადგენელნი. დაევალოს საურსათო განყოფილებას საწრაფოდ შეადგინოს შეტანა ახალ მოსამსახურეებისა.

— ვინადან ამ ჟამად ქალაქის საცხობებში პური ცვება ნაკლებათ მეორე პურის საცხობში შემცირებულ იქნას მუშათა რიცხვი.

შენ თბილად ხარ, გორში კი იყინებიან. დავიჯერო, მათ არ დაეხმარებით?

საქართველოს გეითალტა ურილობა.

26 თებერვალს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში გაიხსნა საქართველოს რესპუბლიკის ბეითალთა პირველი ყრილობა. ყრილობას პირველად მიესალმა შიბაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ბ ნი ჰ ჰინაძე შეეხო ბეითალთა ღნიშვნელობას—რომლ საქართველოს მეურნეობის წინმსვლელობის საქმეში და უთხრა ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა. შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს: სასოფლო საზოგადოების წარმომადგენელმა რცხილაძემ, მედიკო-სანიტარულ განყოფილების—მეუხარგიამ, აფხაზეთის—კორქიამ, ქუთაისის თვითმართველობისა—ლეჟავამ, ადერბეიჯანის—ლაპშინაძა. მისალმეების დეპეშები იქნა მიღებული დაწყებელი კრებიდან, საბჭედრო სამინისტროდან და სომხეთის მთავარ საბეითლო განყოფილებიდან.

შემდეგ არჩეულ იქნა პრეზიდიუმი. თავმჯდომარეთ დამფ. კრების წევრი, ბეითალი ს. გ. ახმეტელაშვილი, მის ამხანაგათ ბეითალი გ. მამათავრიშვილი და მირიანაშვილი. მდივნებათ ბეითლები: კ. თაყაიშვილი, თ. ცინცაძე, გ. ზაუტაშკილი, და ვ. პაუტკინი.

ყრილობის სხდომები გრძელდება. მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა: დამფუძებელ კრებას, ხელთაწრობას და სხვ. ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა გორის გენდგურებით გმიწვეულ მხკერპლთა ხსოვნა; შეგროვილ იქნა თანხა დაბარალებულთა დასახმარებლად.

მოხსენებები სხვა და სხვა ადგილებიდან წარმდგენია პრეზიდიუმს, მათი რიცხვი 40 ზე მეტია, არის მოხსენებები რუსულად და ქართულად.

ყრილობა გაგრძელდება დაახლოებით ერთ კვირას, დელეგატებს საცხოვრებელ ბინათ დათმობილი აქვთ ზუბალაშვილის თავშესაფარი, სასამართლოს ქუჩაზე № 93.

ერობა

მთავარ კომიტეტში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ მედიკებმა თხოვნით მიმართეს ერობათა კომიტეტს უნივერსიტეტში ფეხროს კურსებზე რამდენიმე სტიპენდიის დაარსების შესახებ. კომიტეტმა დაადგინა დროებით, კომიტეტის ხარჯთ აღრიცხვის შემუშავებამდე გადაიდოს სტუდენტთა თხოვნის დაკმაყოფილება.

—

სამხედრო სამინისტრომ გადასცა თავისი აფთიაქის საწყობი მომარაგების კომიტეტს, ამ საწყობში არის 300 კილო ქინაქინა, რომელიც გაუნაწილდება ერობებს 50% დაკლებით დაწესებულ ნიხრზე.

—

16 თებერვალს შესდგა თათბირი ცენტრალურ საავადმყოფო საწყობის ერობათა კომიტეტის ხელში გადასვლის შესახებ. თათბირმა ვერ იცნო შესაძლებლად ხელშეწყობის საწყობის ერობათა კომიტეტის ხელში გადასვლა, ხოლო იმ აზრს დაადგა, რომ ნაწილ ნაწილად დაკმაყოფილებულ იქმას კომიტეტის მოთხოვნილება მედიკამენტებისა. თათბირმა აუცილებლად დაინახა დაარსდეს მთავრობის საავადმყოფო საწყობი, ამ საწყობიდან უნდა გაიხსნას ორი ლაბორატორია, მთავრობის საავადმყოფო საწყობს უნდა გადაეცეს ყველა ქონება მომარაგების კომიტეტის და სამხედრო საწყობისა. დადგენილ იქმა ეთხოვოს მთავრობას რათა წინადადება მისცეს მომარაგების სამინისტროს ეხლავე შეუდგეს ხსენებული საწყობისათვის საზღვარ გარეთ მედიკამენტების შესყიდვას.

საჭირო მედიკამენტების რაოდენობის გამორკვევა ენდობა შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიკო სანიტარულ განყოფილებას, რომელშიაც შევლენ წარმოადგენლები ერობის კომიტეტის, ქალაქთა კავშირის, სამხედრო უწყების და სხვ.

მილიციაში

— 20 თებერვალს კარლოს იელსის, რომელიც ცხოვრობს პუშკინის ქ. „სასახლის ნომრებში", განუცხადა სისხლის სამართლის მილიციას, რომ მას მოჰპარეს ოქროს საათი, ღირებული 15,000 მ. მილიციამ გამოარკვია, რომ საათი მოუპარავს იმავე სასტუმროს მახურს ლაბარტყავას, რომელიც გადაეცა ქ. ტფილისის მცხეთის უბნის გამომძიებელს.

— ტფილისის ქალ. თვითმმართველობის წევრმა ცნობა სისხლ. სამ. მილიციის უფროსს, რომ 1 უბნის მე 2 და მე 12 სარაიონო კომიტეტებში აღმოჩნდა ყალბი ხელმოწერილი 1 უბნ. საურსათო კომიტეტის გამგის და სთხოვა ღონისძიება დამნაშავეთ. მილიციის უფროსის განკარგულებით და მის მოხელეთა მიერ მიღებულ ზომებით გამოირკვა, რომ ყალბი ხელის მოწერა იყო 1 უბნ. საურს. კომიტ. ყოფილი გამგის ლევან კონსტანტინეს ძე შეტსილაიასი, რომელიც გადაეცა მცხეთის უბნის გამომძიებელს.

— გაქცეული ტყვე ერისტო იაგორის ძე ვახტანგაძე მილიციის მოხელეებმა ისევ შეიპყრეს.

— 20 თებერვალს კარაპეტ ივანეს ძე ავაკიანცმა განუცხადა სისხლ. სამ. მილიციას, რომ მას მოჰპარეს ოქროს, ვერცხლის და ბრილიანტის ნივთები, ღირებული 1.000,000 მ., რომელიც მიბარებული ჰქონდა მას სომხეთის კონსულის რუბენ სტეფანეს ძე იუზბაშიანცის მიერ. მილიციამ გამოარკვია, რომ ნივთები მოუპარავს ავაკიანცის ვექილ გრიგოლ ბაზილევიჩ ონიკ ავაკიანცს მისი ამხანაგების სურენ მელკუმოვის, ლეონ ქამიგორიანცის და სერგი კალანთაროვის დახმარებით. პირველი სამი წასულან გორში და იქიდან ფოთში ამერიკაში წასვლის მიზნით, მაგრამ მილიციელებმა ისინი შეიპყრეს ფოთში. ნივთები პატრონს გადაეცა. დამნაშავენი დაპატიმრებული არიან.

მაძღარო მოქალაქე! მშიერიც მაძღარი ნუ გონია.

რკინის გზაზე

26 თებერვალს, დილის 9 საათზე ბაქოდან ტფილისში დაბრუნდა პოლკოვნიკ ჰაკელი.

ტფილისიდან ერევანში გაემგზავრა საქართველოს წარმომადგენელი სომხეთის მთავრობასთან ბ. მახარაძე.

საქართვ. რკინ. გზ. უფროსმა გაანკარგულება მოახდინა რათა სომხეთის გზაზე ნორმალურ მოძრაობის განახლებიდან, საფოსტო მატარებლების № 3 და 4 მიმოსვლა იქნეს ახლოლად ტფილისსა და სანაინის შუა, ბილეთებიც გაიყიდება მხოლოთ სანაინამდე. სანაინში მისული ლომხის ვაგონები, უნდა გაიგზავნოს სომხეთში.

ადერბეიჯანის რკ. გზ. სამმართველომ თხოვნით მიმართა საქართვ. რკ. გზ. სამმართველოს, რათა დაუთმოს ორთქლმავლები საწყობ მატარებლებისათვის № 5 და 6 ივლისის იმავე პირობებში, რა პირობებშიაც მიჰქვათ საფოსტო მატარებლები № 3 და 4.

ბანცხარეთ ანი

პავლე ტიმოფეის ძე ყვინჩია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და მეტრიკული მოწმობა აღებული ქ. ხონში, პასპორტი და მეტრიკა გაუქმებულათ ჩაითვალოს.
341 3—1

დაკარგულია რკ. გზ. ბედნადები ტფილის საგირი № 10134/7 გაუქმებულათ ჩაითვალოს ყოფ საქციო საბოგ. ტაიროვი, ალხ ნივი და ტოლე.
346 3—1

გიორგი ალექსანდრეს ძე ჯობაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი ერთი წლის ვადიანი, მიცემული ზვარეთის საზოგადოებიდან 27 ოქტომბერს 1919 წ. № 162, და ნამსახურობის ბილეთი, მიცემული ქუთ. მაზ. უფროსისგან, საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულათ.
345 3—1

ვლადიმერ ანთიალავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული მატრიკული. მატრიკული გაუქმებულათ ითვლება.
341 3—1

არტემ სერგის ძე დაბიღოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უკვდა პასპორტი მიღებული ალექსანდროპოლის ქალაქის გამგეობიდან № 132. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
342 3—1

მამედ ჰუსეინ ალიხვერდოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
343 3—1

სუმბათ სარქისის ძე ოლეფირ-სარქისოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უკვდა პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიციმეისტრის კანცელარიიდან № 8819, პასპორტი გაუქმებულათ ითვლება.
347 3—1

სერგო მახელის ძე ტარუხინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უკვდა პასპორტი მიღებული ტფილისის ქალ. გამგეობიდ ნ, პასპორტი გაუქმებულათ ითვლება.
349 3—1

არჩილ მხეიძის ძე რამიშვილი ჩაცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა და სახალხო გვარდიიდან მიღებული მოწმობა. საბუთები გაუქმებულათ ითვლება.
348 3—1

ვლადიმერ გიორგის ძე ჯაბადარი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქალაქის საურსათო სამჭედან მ ღებული სასურსათო ბარათი № 990 ბარათი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
357 3 1

მელიტონ ალექსის ძე გოგლიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 1070 და პასპორტი მ ღებული სოფ. ზვარეთის საზოგადოებიდან. საბუთები გაუქმებულათ ითვლება.
360 3—1

მიხეილ ლევანტის ძე ჩიქოვანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული საგარეჯოს თემ. დან № 311. 26/XII 1919 წ. და მოწმობა მიღებული 2/XII19—წ. ქართ მწერალთა კლუბის „ქამრიონის" დირექტორიდან. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს.
361 3—1

ელიზბარ ალექსის ძე ჩხარტიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 1874. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.
350 3—1

დავით გიორგის ძე კობერიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მ ღებული ტფილის. სამხედრო ნაწილების უფროსის სამმართველოდან მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.
351 3—1

ელენე ვასილის ასული გრიცუკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებულ ქ. ხოლმის საპოლიციო სამმართველოდან პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
353 3—1

ოქრო ნიკოლოზის ძე კლიმიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ბერეზაშკილის გიმნაზიიდან მიღებული მოწმობა № 43. 23/X მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.
355 3—1

მეიერ დანიელის ძე მანაშეროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და გიმნაზიის ნებართვა. აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს.
354 3—1

სერგო მიტროფანეს ძე პაიჭაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიდაც იყო ფულად 280 მანეთი, პასპორტი და მეტრიკული მოწმობა, გაუქმებულათ ჩაითვალოს.
325 3—3.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ხარიტონაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
326 3—3

აიკ არუთინის ძე სერკონოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახლის წიგნი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
321 3—2

ბინო დავითის ძე ჯანაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახლის წიგნი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
322 3—2

არმენაკ გეორგის ძე ტერ ჰაროპეტიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი ვ№ 5612, ძველი ყოფილ პოლიციმეისტრის კანცელარიიდან 1913 წ. აგვისტოს 23. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
320 3—3

ეფსტაფი ფოლადოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის საოლქო სასამართლოს მიერ დამტკიცებული ძველებური ფურცელი № 17065, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
324 3—3

დაკარგულია რკინის გზის საბარგო კვიტანცია №№ 25604 და 25635 და სამი ვაგონის კვიტანციები №№ 3217, 3218 და 8966, აღნიშნული კვიტანციები გაუქმებულათ ჩაითვალოს.
327 3—3

10—5

ზურაბ ნიკოლოზის ძე ელიავა აცხადებს, რომ მან დაკარგა ტფილისის ლევანდოვის გიმნაზიის კანცელარიიდან ძველებური სიმწიფის მოწმობა, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.
339 3—2

დაკარგული აღრიცხვის მოწმობა სახელდრო მოხელის გიორგი ალექსანდრეს ძე კვიკვიძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო უფროსისგან 24 დეკემბრიდან 1919 წ. № 7480 გაუქმებულად ითვლება.
347 3—2

დაკარგულია პასპორტი, მიღებული ქ. ბაქოს მე 7 უბნის ბოქაულისგან ოქანეზ სარქისიანცის სახელზე. მოწმობა გაუქმებულათ ითვლება.
338 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ადრიან სერგეის ძე ღუშჩიხმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ანტონინა თევდორეს ასული ღუშჩიხნისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 9 დეკ. 1917 წ. უკვლოდ დაიკარგა 1917, წელს რის გამო აღნიშნული ადრიან ღუშჩიხნი თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა ვისაც რაცის დაკარგულ ანტონინა თევდორეს ასული ღუშჩიხნისა მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში.
299 3—2

ზადმან ხაიმ ბერკოვიჩის ძე კახაცკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
241 3.3

ეკატერინა მართინის ასული გასპარიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახლის წიგნი. (ახალი მდებ. მე-19 თებერვლის ქ. № 70), წიგნი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
282 3—3

სახელოვნო სალიტერატურო უპარტიო ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება"

გამოდის ყოველ კვირა, დილ ურათებული. ფასი 10 მ. მისამართი: ტფილისი, ბაზრის ქ. № 20 რედ. გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

ელექტრონის სადგურის კონტორის ამხ.-ბა „მოტორი"

ამით აუწყებს თავის აბონენტებს, რომ ამა წლის 1 თებერვლიდან შემოღებულია ახალი მომატებული ნიხრი ელექტრონის ენერგიაზე. რადგანაც ახალ ნიხრს ვაცხადებთ ამა თვის შუა რიცხვებში, საავანსო ანგარიშები აბონენტებისა, რომელნიც განათების ფულს წინდაწინ იხდიან, შედგენილი იყო თებერვლისათვის ძველი ნიხრით და ამიტომ ის განსხვავება, რომელიც არის გამოწვეული ახალი ნიხრის შემოღებით ჩამატებული იქნება მარტის საავანსო ანგარიშებში.

ფულის გადახდა ელექტრონის ენერგიისათვის უნდა მოხდეს არა უგვიანეს ყოველ თვის ათ რიცხვამდის და უნდა მიეცეს ან ჩვენს ფულიერ აგენტებს, რომლებიც ვალდებულნი არიან წარადგინონ ანგარიში, ან უნდა შემოტანილი იქნეს ფული ელექტრონის სადგურებში. (თემ. მმევის ქარვასლა, სამთავრო შესაბის პირდაპირ) ვინც ფულს არ გადაიხდის თავის დროზე, ის პირი ამორიცხული იქნება აბონენტების სიიდან, და თუ ისევ მოისურვა აბონენტად ჩაწერა, მას გადახდება დამატებითი ფასი.
369

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორის მოვალ. ალმ. გრიგოლ მაჭავარიანი.